ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2925274001**
თარიღი:**01/10/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 29 სექტემბრის N-28-28252727 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, გამოაცხადოს პირობიანი ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 (ოთხი) წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე -3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით.

მუხლი 2. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის საფასური, 1 (ერთი) წლის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 2400 (ორიათას ოთხასი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM